



შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

IBSU № 000000

დიპლომის დანართი

დიპლომის დანართის ეს მოდელი დამუშავებულია ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ. დანართის მიზანია მიაწოდოს დასაბუთებული მიუკერძოებელი მონაცემები საერთაშორისო “გამჭვირვალობის” გასაუმჯობესებლად და კვალიფიკაციების (დიპლომების, ხარისხების, სერთიფიკატების და ა.შ.) აკადემიური და პროფესიული ცნობის დასაზუსტებლად. მისი მიზანია, აღწეროს დასახელებული პირის მიერ ამ დანართის შესაბამის ორიგინალურ კვალიფიკაციაში გავლილი და წარმატებით დასრულებული სასწავლო პროგრამის ხასიათი, დონე, კონტექსტი, შინაარსი და სტატუსი. აღწერა თავისუფალი უნდა იყოს რაიმე შეფასებითი დასკვნებისაგან, ეკვივალენტობის მტკიცებისა ან აღიარების შესახებ შეთავაზებისაგან. ინფორმაცია უნდა შეივსოს რვავე პარაგრაფში. თუ ინფორმაცია არ არის მოცემული, საჭიროა განიმარტოს მიზეზი.

1. კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

1.1 გვარი:

1.2 სახელ(ებ): [მიუთითეთ ყველა ოფიციალური სახელი]

1.3 დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი): [ნიმუში: 21.02.1990]

1.4 სტუდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (თუ არსებობს): [ნიმუში: პირადი_№ 00000000000 და/ან სტუდენტური ნომერი]

2. კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

2.1 კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე): [მოიყვანეთ კვალიფიკაციის სრული დასახელება.

დანართის ინგლისურ ტექსტში კვალიფიკაციის სახელწოდების თარგმანთან ერთად უნდა მიეთითოს კვალიფიკაციის დასახელება ორიგინალის ენაზეც, ლათინური ასოებით და ისე, როგორც ეს მიღებულია საქართველოში. მაგალითად, Master of Business Administration in Management (biznesis administrirebis magistri menezmentshi).

თუ კვალიფიკაცია არის ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ერთობლივი ხარისხი, მაშინ ეს ამ პუნქტში უნდა აღინიშნოს. მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში (ერთობლივი ხარისხი); ინგლისურად – Master of Business Administration in Management (Joint degree).
ნიმუში: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში]

2.2 კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ): [მიუთითეთ მხოლოდ ის ძირითადი დარგი/დარგები, რომელიც განსაზღვრავს მთავარ კომპონენტებს კვალიფიკაციის მისაღებად. მაგალითად, მათემატიკა, ისტორია, ბიზნესის ადმინისტრირება, ბიოლოგია და ა.შ.

ნიმუში: 1. მენეჯმენტი]

2.3 კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი

(ორიგინალის ენაზე): შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კერძო სამართლის იურიდიული პირი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივნისის №71 გადაწყვეტილებით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

2.4 იმ დაწესებულების (თუ განსხვავდება 2.3-სგან) დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე), რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი:

არ განსხვავდება 2.3-სგან.

2.5 სწავლების/გამოცდის ენა (ენები): [მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების ენა.

ნიმუში: ინგლისური]

3. ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ

3.1 კვალიფიკაციის დონე: მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური)

3.2 პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი), წელიწადში 38 სასწავლო კვირა. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3000 ასტრონომიულ საათს, რაც ECTS-ის 120 კრედიტის ეკვივალენტურია (1 ECTS კრედიტი უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს).

3.3 მიღების მოთხოვნები: არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი.

4. ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

4.1 სწავლების ფორმა: სრული დატვირთვით

4.2 პროგრამის მოთხოვნები: [მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, მიზანი და სწავლის შედეგები, კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ნებისმიერი სავალდებულო კომპონენტი და სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი. ასევე აღნიშნეთ საჭიროა თუ არა სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა და სხვ.

ნიმუში: მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა - 120 ECTS კრედიტი. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან 90/30 თანაფარდობით. პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო კომპონენტია - სამაგისტრო ნაშრომის შემუშავება და საჯარო დაცვა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებია:]

4.3 პროგრამის დეტალები: (მაგ. შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები/ შეფასებები/კრედიტები: (თუ არსებობს, უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი) [მიუთითეთ კვალიფიკაციის ყოველი ინდივიდუალური კომპონენტი და მისი წვლილი კვალიფიკაციის განსაზღვრაში. ჩანაწერი ზედმიწევნით სრული უნდა იყოს. მიუთითეთ ყველა სასწავლო კურსი, თეზისის/ნაშრომის და პრაქტიკის ჩათვლით, შესაბამისი შეფასებებითა და მინიჭებული კრედიტებით. სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში მიუთითეთ სახელწოდება. თუ კვალიფიკაცია არის ერთობლივი ხარისხი, მაშინ მიუთითეთ რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშია მიღებული

კვალიფიკაციის ესა თუ ის ნაწილი. თუ სტუდენტი პროგრამაზე გადმოსულია მობილობით, მიუთითეთ რომელი სასწავლო კურსებია აღიარებული.

ნიმუში:

№	სასწავლო კურსი/კომპონენტი	სტატუსი	სემესტრი	კრედიტი	საათი	ქულა	შეფასება
1	ფინანსური რეგულირება	არჩევითი (აღიარებული)	II	5	125	95	(A) ფრიადი
2	მენეჯმენტი	სავალდებულო	III	5	125	85	(B) ძალიან კარგი
3							
4	სამაგისტრო ნაშრომი: „ “	სავალდებულო	IV	30	750	91	(A) ფრიადი
სულ ECTS კრედიტები				120			
საათების სრული ოდენობა					3000		
სტუდენტის საშუალო ქულა/შეფასება						91	

4.4 შეფასების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ინსტრუქცია: კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური

კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სტუდენტის მიერ ზემოთ მოყვანილი (FX) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

ჩვეულებრივი მაგისტრის დიპლომი გაიცემა სტუდენტზე, რომლის საშუალო ქულა 51 - 90-ს ფარგლებშია.

წარჩინებითი მაგისტრის დიპლომი გაიცემა სტუდენტზე, რომლის საშუალო ქულა არანაკლებ 91-ს ტოლია.

4.5 კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია (ორიგინალის ენაზე): [მიუთითეთ მაგისტრის დიპლომი ჩვეულებრივია თუ წარჩინებითი
ნიმუში: მაგისტრის დიპლომი წარჩინებით]

5. ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ

5.1 დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე: უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში (უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე).

5.2 პროფესიული სტატუსი (თუ ასეთი არსებობს): [დეტალურად ახსენით კვალიფიკაციის მფლობელის ნებისმიერი პრაქტიკული საქმიანობის უფლება ან პროფესიულ სტატუსთან შესაბამისობა. რა სპეციალური დაშვების უფლებას (თუ ასეთი არსებობს) იძლევა კვალიფიკაცია დასაქმებისა და პროფესიული პრაქტიკის თვალსაზრისით და მიუთითეთ, რომელი კომპეტენტური ორგანო იძლევა მას. მიუთითეთ რომელ „რეგულირებად პროფესიაზე“ აქვს დაშვება ამ კვალიფიკაციას.
ნიმუში: არარეგულირებადი.]

6. დამატებითი ინფორმაცია

6.1 დამატებითი ინფორმაცია: [მიუთითეთ სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი დოკუმენტების მიღების თარიღი და ნომერი. ასევე, გადმოეცით ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არაა ზემოთ მოცემული, მაგრამ მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ხასიათის, დონისა და გამოყენების შეფასების მიზნებისათვის. მაგალითად, ის, რომ კვალიფიკაცია მოიცავს სწავლის/მომზადების პერიოდს სხვა სასწავლებელში/კომპანიაში/ქვეყანაში და დაურთეთ შესაბამისი დეტალები იმ სასწავლებლის შესახებ (მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის). დამატებითი ინფორმაცია ერთობლივი ხარისხის მიმნიჭებელზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ, ის რაც 2.3 პუნქტში არაა მითითებული. აქვე შეგიძლიათ მიუთითოთ სტუდენტის მიერ სხვა პროგრამის ფარგლებში ნასწავლი და ამ პროგრამის ფარგლებში არადიარებული სასწავლო კურსები 4.3 პუნქტში მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

ნიმუში: ჩაირიცხა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უნივერსიტეტის რექტორის 2008 წლის 20 სექტემბრის №62 ბრძანების საფუძველზე. უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 6 აგვისტოს №89 ბრძანების საფუძველზე

მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი მენეჯმენტში. პრაქტიკა გაიარა [მიუთითეთ სახელწოდება] კომპანიაში. პრაქტიკის დროს ასრულებდა შემდეგ ფუნქციებს: [მიუთითეთ ყველა ფუნქცია].

მონაწილეობა მიიღო 2010 წელს საუნივერსიტეტო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც წარადგინა მოხსენება: „[მიუთითეთ მოხსენების სათაური]“.

6.2 დამატებითი ინფორმაციის წყაროები: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ., №2, თბილისი, 0131, საქართველო
ვებგვერდი: www.ibsu.edu.ge

ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@ibsu.edu.ge, contact@ibsu.edu.ge

7. დანართის დამოწმება

7.1 თარიღი: [მიუთითეთ დიპლომის დანართის გაცემის თარიღი. აუცილებელია იგი ემთხვეოდეს დიპლომის გაცემის თარიღს.

ნიმუში: 25.09.2012]

7.2 ხელმოწერა:

/პროფ. დოქტ. ილიას ჩილოღლუ/

7.3 თანამდებობა:

რექტორი

7.4 ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი:

8. ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ

8.1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაშვებისა და მიღების წესები:

აკადემიური უმაღლესი განათლება სამსაფეხურიანია.

– უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების (სწავლის ხანგრძლივობა 2008-2009 სასწავლო წლიდან – 12 წელი) დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები (2005 წლიდან).

– უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა სამაგისტრო გამოცდა.

– უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

8.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

2009 წლიდან საქართველოში არსებობს შემდეგი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას;

სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს.

უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება დაფუძნდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით.

8.3. კვალიფიკაციების სტრუქტურა

2005 წლიდან საქართველოში შემოღებულ იქნა აკადემიური უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა. ამ სისტემაზე სრული გადასვლა განხორციელდა 2007-2008 სასწავლო წლის დასაწყისიდან. უმაღლესი განათლების საფეხურის დასამთავრებლად აუცილებელია შესაბამისი რაოდენობის კრედიტების დაგროვება.

პირველი საფეხური: ბაკალავრიატი - არანაკლებ 240 კრედიტი

– 2007 წლიდან 2010 წლის ჩათვლით უმაღლესი განათლების ფარგლებში არსებობდა დიპლომირებული სპეციალისტის (პროფესიული უმაღლესი განათლება) საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავდა 120-180 კრედიტს. აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სრული ზოგადი განათლების საფუძველზე. დიპლომირებული სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების

შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დიპლომირებული სპეციალისტის მიერ დაგროვებული კრედიტები ჩათვალოს ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნებისათვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლის (პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლისთვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების) შემთხვევაში მინიჭოს სტუდენტს შუალედური კვალიფიკაცია. შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები (2010 წლის 1 სექტემბრიდან).

მეორე საფეხური: მაგისტრატურა - არანაკლებ 120 კრედიტი

მესამე საფეხური: დოქტორანტურა - არანაკლებ 180 კრედიტი

სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 2011-2012 სასწავლო წლის ჩათვლით ახორციელებდნენ მიღებას ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წარმოადგენს ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, მოიცავს 300 კრედიტს და მთავრდება დიპლომირებული ვეტერინარის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული ვეტერინარის აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

8.4 შეფასების სისტემა

ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2007 წლიდან მოქმედებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემა. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება 100-ქულიანი სისტემით.

8.5 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა ხდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმებია ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი

დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

აკრედიტაცია არის აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე რეგულირებადი (იურიდიული, სამედიცინო, პედაგოგიური) და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.


ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვადა განისაზღვრება 5 წლით. ავტორიზაციის ვადის გასვლის ან ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში აკრედიტაციაც უქმდება.

8.6 ინფორმაციის ეროვნული წყარო:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
მისამართი: დ. უზნაძის ქ. 52, თბილისი, 0102
www.mes.gov.ge
ელექტრონული ფოსტის მისამართი: pr@mes.gov.ge

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: მ. ალექსიძის ქ. №1; თბილისი, 0193
www.eqe.ge
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@eqe.ge

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა





INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY, LLC

IBSU № 000000

THE DIPLOMA SUPPLEMENT

This Diploma Supplement follows the model developed by the European Commission, Council of Europe and UNESCO/CEPES. The purpose of the supplement is to provide sufficient independent data to improve the international “transparency” and fair academic and professional recognition of qualifications (diplomas, degrees, certificates etc.). It is designed to provide a description of the nature, level, context, content and status of the studies that were pursued and successfully completed by the individual named on the original qualification to which this supplement is appended. It should be free from any value judgments, equivalence statements or suggestions about recognition. Information in all eight sections should be provided. Where information is not provided, an explanation should give the reason why.

1. INFORMATION IDENTIFYING THE HOLDER OF THE QUALIFICATION

1.1. Family name(s):

1.2. Given name(s):

1.3. Date of birth (day/month/year): [Sample: 21.02.1990]

1.4. Student identification number or code (if available): [Sample: Personal №000000000000 and/or student number]

2. INFORMATION IDENTIFYING THE QUALIFICATION

2.1. Name of qualification and (if applicable) title conferred (in original language): [Sample: Master of Business Administration in Management (biznesis administrirebis magistri menejmentshi)]

2.2. Main field(s) of study for the qualification: [Sample: 1. Management]

2.3. Name and status of awarding institution (in original language): Limited Liability Company - International Black Sea University (shavi zgvis saertashoriso universiteti), Legal Entity of Private Law.

On the grounds of the decision №71 made on 21 June 2011 by the Authorisation Board of Educational Institutions of Legal Entity of Public Law - National Center for Educational Quality Enhancement, was awarded the status of Higher Education Institution.

2.4. Name and status of institution (if different from 2.3.) administering studies (in original language): Not different from 2.3 (ar gansxvavdeba 2.3-rgan)

2.5. Language(s) of instruction/examination: [Sample: English]

3. INFORMATION ON THE LEVEL OF THE QUALIFICATION

3.1. Level of qualification: Master's (The second cycle of Higher Education)

3.2. Official length of programme: 2 academic years (4 semesters), 38 study weeks per year. The educational programme covers 3000 astronomic hours that is equivalent to 120 ECTS credits (1 ECTS credit is equal to 25 astronomic hours).

3.3. Access requirement(s): At least Bachelor’s or equalised thereto academic degree diploma.

4. INFORMATION ON THE CONTENTS AND RESULTS GAINED

4.1. Mode of study: Full time.

4.2. Programme requirements: [Indicate the structure of the educational programme, its aim and learning outcomes, any compulsory component and compulsory practice component defining the qualification. Also indicate if Master’s thesis is to be written and defended, etc.

Sample: Master’s educational programme in Management covers 120 ECTS credits and consists of compulsory and elective courses with the ratio of 90/30. One of the compulsory components required by the programme is to work out and defend the Master’s thesis.

Programme aims:

Programme learning outcomes:]

4.3. Program details: (e. g. modules or units studied), and the individual grades/marks/credits obtained: (if this information is available on an official transcript this should be used here)

Sample:

Nº	Course / Component	Status	Semester	Credits	Hours	Points	Grade
1	Financial Regulation	Elective (Recognised)	II	5	125	95	(A) Excellent
2	Management	Compulsory	III	5	125	85	(B) Very good
3							
	Master’s thesis:	Compulsory	IV	30	750	91	(A) Excellent
Total number of ECTS credits				120			
Total number of hours					3000		
Student’s average point/grade						91	

4.4. Grading scheme and, if available, grade distribution guidance: A credit can be awarded only after the attainment of learning outcomes, envisaged by the course syllabus. The maximum point for a study course/component is 100. Evaluation includes interim evaluation and final evaluation, the sum of which is 100 point.

Grading system allows:

- a) five types of positive grades:
 - 1) (A) Excellent – 91-100 points of assessment;
 - 2) (B) Very good – 81-90 points of maximal assessment;
 - 3) (C) Good - 71-80 points of maximal assessment;
 - 4) (D) Satisfactory - 61-70 points of maximal assessment;

- 5) (E) Enough - 51-60 points of maximum assessment;
- b) two types of negative grades:
- 1) (FX) Fail – 41-50 points of maximal assessment, meaning that a student requires some more work before passing and is given a chance to sit an additional examination after independent work;
 - 2) (F) Fail – 40 points and less of maximal assessment, meaning that the work of a student isn't acceptable and he/she has to study the subject anew.

In each component of educational programme a credit can be awarded only after a student gains minimum 51 points of maximum 100 point. For the interim and final evaluations minimal passing grade is set. The final evaluation minimal passing grade must not exceed 60% of final evaluation grade.

The Master's thesis is assessed once through final evaluation. In case of getting the grade considered by item (FX), the student has a right to present the revised Master's thesis during the next semester and in case of getting the grade considered by item (F) - the student has no right to present the same Master's thesis again.

Ordinary Master's diploma is given to those students whose average point is between 51 and 90. Master's diploma with honours is given to those students whose average point is no less than 91.

4.5. Overall classification of the qualification (in original language): [Sample: Master's diploma with honours (magistris diplomis tsarchinebit).]

5. INFORMATION ON THE FUNCTION OF THE QUALIFICATION

5.1. Access to further study: A graduate acquires a right to continue his/her education on Doctorate Level (on the third cycle of Higher Education).

5.2. Professional status (if applicable): [Sample: N/A.]

6. ADDITIONAL INFORMATION

6.1. Additional information: [Sample: Was enrolled in International Black Sea University at the faculty of Business Management on Master's educational programme in Management according to the Rector's order №62 made on 20 September 2008.

Was awarded the academic degree of Master of Business Administration in Management according to the Rector's order №89 on 6 August 2012.

Fulfilled an internship at the [Name] Company and carried out the activities: [List all the activities.]

Participated in the University Students' Conference and presented the paper: [Name] in 2010.]

6.2. Further information sources: LLC - International Black Sea University

Address: 2 David Agmashenebeli Alley 13 km., Tbilisi, 01312, Georgia

Website: www.ibsu.edu.ge

E-mail: info@ibsu.edu.ge, contact@ibsu.edu.ge

7. CERTIFICATION OF THE SUPPLEMENT

7.1. Date: [Sample: 25.09.2012]

7.2. Signature: / Prof. Dr. Ilyas Chiloglu /

7.3. Capacity: Rector

7.4. Official stamp or seal:

8. INFORMATION ON THE NATIONAL HIGHER EDUCATION SYSTEM

8.1. Access and admission to a higher education institution:

Georgia has the three-cycle higher education system.

- The right to be admitted to the first cycle of higher education (Bachelor's degree programmes) at a higher education institution can be enjoyed only by a holder of general education state certificate (starting from 2008-2009 academic year the study period is 12 years) or a person equalised thereto. The precondition for the admission to a Bachelor programme is successful taking of the unified national examinations (starting from 2005).
- The right to be admitted to the second cycle of higher education (Master's degree programme) at a higher education institution can be enjoyed by a person having, at least, Bachelor's or equalised thereto academic degree. The admission precondition is successful taking of Master's examination.
- The right to be admitted to the third cycle of higher education (Doctorate) at a higher education institution can be enjoyed by a person having, at least, Master's or equalised thereto the academic degree. The admission preconditions are generally set by the higher institution.

8.2. Higher Education institutions

Since 2009 there are the following types of higher education institutions in Georgia:

College – Higher education institution that offers only the first cycle – Bachelor's degree programmes.

Teaching University – Higher Education institution that offers higher education programme/programmes (except for doctorate). A teaching university is obliged to provide the second cycle – Master's degree programme/programmes.

University – Higher Education institution that offers the higher education programmes of all three cycles and carries out research activities.

A higher education can be a legal entity of both public and private law.

8.3. Qualifications

In 2005 the three-cycle academic higher education system was introduced in Georgia. Since 2007-2008 academic year all the higher education institutions of Georgia are committed to this system. It is necessary to accumulate the respective amount of credits for the accomplishment of each cycle of higher education.

The first cycle – Bachelor’s degree programme – at least 240 ECTS credits

From 2007 until 2010 there was a certified specialist’s educational programme (vocational higher education) within the framework of higher education, which covered 120-180 ECTS credits. The students were admitted to these programmes commensurate with the procedure, envisaged by Georgian law, against a general education certificate. In the case of enrolment of a certified specialist for a Bachelor, Medical Doctor’s/ Doctor in Dentistry educational programmes the higher education institution is entitled to recognise the ECTS credits, accumulated by the certified specialist concerned, for the purposes of acquisition of the Bachelor’s, Medical Doctor’s/ Doctor in Dentistry Degrees.

A higher education institution is entitled to award an interim qualification to a student in the case of taking only a part of the educational programme (in the case of accumulation of ECTS credits envisaged for the short cycle within the first cycle educational programme). An interim qualification can be awarded after the attainment of the learning outcomes envisaged for a part of the respective educational programme, which cannot be less than the half of the net amount of ECTS credits envisaged for the educational programme concerned (from 1 September 2010).

The second cycle: Master’s degree Programme – at least, 120 ECTS credits

The third cycle: Doctorate – at least, 180 ECTS credits

Medical/Dental education programme is a one-cycle higher education programme. A successful graduate of the programme is awarded the Medical Doctor’s/ Doctor in Dentistry academic degree. The academic degree awarded after the accomplishment of 360-credit Medical Doctor’s or 300-credit Doctor in Dentistry educational programme is equalised to Master’s degree.

The higher education institutions admitted students to Veterinary Education Programme inclusive 2011-2012 academic year. This is a one-cycle educational programme covering 300 ECTS credits and leading to awarding the Doctor in Veterinary academic degree. The Doctor in Veterinary academic degree is equalised to Master’s degree.

8.4 Grading System

Starting from 2007 all the higher education institutions of Georgia use the European Credit Transfer and Accumulation System (ECTS). The attainment of the learning outcomes by a student, envisaged by the educational programme is evaluated according to 100-point grading scale.

8.5 Quality Assurance System

Educational quality is enhanced through internal and external mechanisms. The internal mechanisms of educational quality enhancement are implemented by an educational institution in accordance with the procedure, envisaged by law. The external mechanisms of educational quality enhancement are the authorisation and accreditation – the procedures, implemented by the Legal Entity of Public Law – National Centre for Educational Quality Enhancement.

Authorisation is the procedure of acquisition of the status of an educational institution, which aims at ensuring the meeting of standards, necessary for an educational institution to carry out educational activities for the issuance of the state-recognised educational document.



[name, surname]

IBSU № 000000 DIPLOMA SUPPLEMENT

Accreditation is the procedure of establishment of the compatibility of an educational programme with accreditation standards, which procedure aims at the introduction of regular self-evaluation for the improvement of educational quality and promotion of the enhancement of quality assurance mechanisms. Allocation of state funding and the implementation of regulated (law, medical, pedagogical) programmes is also related to this process.

The authorisation and authorisation is granted for a period of 5 years. After the expiry or withdrawal of authorisation the accreditation is also withdrawn.

8.6 The national source of information:

Ministry of Education and Science of Georgia

Address: 52 Uznadze street, Tbilisi, 0102

www.mes.gov.ge

E-mail: pr@mes.gov.ge

LEPL National Centre for Educational Quality Enhancement

Address: 1 Aleksidze street, Tbilisi 0193

www.eqe.ge

E-mail: info@eqe.ge

Higher Education System of Georgia

